შეტყობინება მეთორმეტე

ღმერთი, რომელიც ფარავს თავის თავს, – დაფარული ღმერთი

ადგილები წერილიდან: ესაია 45:15; ეფეს. 3:16-17; ფილიპ. 2:13; ლუკა 18:1-8

I. „ჭეშმარიტად შენა ხარ დაფარული ღმერთი, ო, ღმერთი ისრაელისა, მხსნელი“ – ესაია 45:15:

ა. ღმერთის თითქმის არცერთმა შვილმა არ იცის, რას ამბობს ბიბლია ღმერთზე, როგორც ღმერთზე, რომელიც ფარავს თავის თავს – მუხ. 15.

1. ეს ამტკიცებს, რომ ღმერთის შვილებს არა აქვთ სათანადო ცოდნა ღმერთის შესახებ, როგორც მის შესახებ, ვინც ფარავს თავის თავს.
2. ჩვენ, სავარაუდოდ, ვიცნობთ ღმერთს, როგორც ძლევამოსილ ღმერთს, სამართლიან ღმერთს და ღმერთს, რომელიც სავსეა მადლითა და სასიყვარულო მზრუნველობით, მაგრამ ჩვენ, შესაძლოა, არ ვიცით ღმერთი, როგორც ღმერთი, რომელიც ფარავს თავის თავს – ლუკა 1:49; 1 პეტ. 5:6; გამოცხ. 15:3; ეფეს. 2:7; ფსალ. 17:7.

ბ. ჩვენი ღმერთი არის ყველგანმყოფი, ძლევამოსილი და პატიებით სავსე, მაგრამ ის ასევე არის ღმერთი, რომელიც ფარავს თავის თავს, რაზეც მიუთითებს ესთერის წიგნი – 4:14.

გ. ღმერთმა შექმნა სამყარო და შემდეგ დაფარა თავისი თავი მასში იმდენად, რომ ჩვენ არ ვიცით, სად ვიპოვოთ ის – იობ. 23:3.

დ. ღმერთმა აღასრულა მრავალი რამ ისრაელის შვილებს შორის და მათ პირად ცხოვრებაში, მაგრამ ამასთანავე ის ფარავდა თავის თავს; ღმერთი მუშაობდა განუწყვეტლივ, მაგრამ ყოველთვის რჩებოდა დაფარული – ესაია 45:15.

ე. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ყოვლისშემძლე ღმერთი, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით, კვლავინდებურად ფარავს თავის თავს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენ გვეხმარება – იოანე 14:26; რომ. 8:28:

1. ჩვენ ვერ ვხედავთ ღმერთს, და, ერთი შეხედვით, ის არაფერს არ აკეთებს.
2. სინამდვილეში ის დაფარულად აღასრულებს ჩვენთვის მრავალ რამეს, როდესაც განგვამტკიცებს ჩვენ ძალით თავისი წმიდა სულის მეშვეობით შინაგან კაცში, რათა ქრისტემ სახლი მოიწყოს ჩვენს გულებში – მუხ. 28, 34; ესთ. 4:14; ფილიპ. 2:13; ეფეს. 3:16-17ა.

ვ. ღმერთი, რომელიც ფარავს თავის თავს, მოქმედებს ჩვენში ჩუმად, მაგრამ ძლევამოსილად – ფილიპ. 2:13:

1. ჩვენი მოვალეობა არის ის, რომ ვითანამრომლოთ მასთან, გამოვეხმაუროთ შინაგან გრძნობას ღრმად ჩვენში – რომ. 8:6.
2. ყოველთვის, როდესაც ვგრძნობთ, რომ ღმერთი ცხოვრობს და მოქმედებს ჩვენში, უნდა ვთქვათ: „ამინ“, ვინაიდან იქ, ჩვენი არსების სიღრმეებში, საიდუმლოდ და განუწყვეტლივ მუშაობს ღმერთი, რომელიც ფარავს თავის თავს.

ზ. თუ ჩვენ ყურადღებით შევისწავლით წერილებს, დავინახავთ, რომ ღმერთს აქვს ისეთი ტემპერამენტი, რომელსაც არ მოსწონს არაფერი სანახაობრივი; ღმერთს მოსწონს საიდუმლოდ მუშაობა, და არა ღიად – მათე 6:1-8.

თ. ჩვენი მიდრეკილება დიამეტრულად განსხვავდება ღმერთის მიდრეკილებისაგან – მიდრეკილებისაგან, რომელიც ფარავს თავის თავს – ესაია 45:15:

1. ღმერთს მოსწონს, როდესაც დაფარულია; ჩვენ მოგვწონს, როდესაც სხვების დასანახავად ვაკეთებთ რაღაცას – მათე 6:1.
2. ღმერთი არ ესწრაფვის გარეგნულ გამოვლინებებს; ჩვენ კი ვერ ვართ კმაყოფილი გარეგნული გამოვლინებების გარეშე – მუხ. 2.
3. ეს ღვთაებრივი მიდრეკილება წარმოქმნის დიდ გამოცდასა და შემოწმებას ჩვენთვის.

II. ესთერის წიგნი წარმოადგენს ნათელ სურათს იმისას, თუ როგორ ზრუნავდა საიდუმლოდ ისრაელის დაფარული ღმერთი თავის დაჩაგრულ რჩეულებზე მათი გაფანტულობისას და როგორ იხსნა მან ღიად თავისი დევნილი რჩეულები მათი ტყვეობისას – 1:1-22; 2:1-23:

ა. ამ წიგნის მნიშვნელოვანი საკითხი არის ის, რომ თვით ღმერთი, რომელმაც ამოირჩია ისრაელი, აბრაამის შთამომავლები, როგორც თავისი რჩეულები, მას შემდეგ, რაც მან ისინი გადასცა წარმართ ტომებს, გახდა მათთვის დაფარული ღმერთი, რომელიც საიდუმლოდ ზრუნავდა მათზე და რომელმაც ღიად გადაარჩინა ისინი, იმ დროს, როდესაც საიდუმლოდ მოქმედებდა – ესაია 45:15:
1. ამიტომ ესთერის წიგნში არ არის ნახსენები ღმერთის სახელი იმ ადგილებშიც კი, სადაც ის უნდა იყოს ნახსენები – 4:3, 16.
2. ერთი მხრივ, ღმერთმა გამოიყენა წარმართი ტომები როგორც საშუალება თავისი ხალხის გასაწვრთნელად; მეორე მხრივ, დაფარული ღმერთი იყო ისრაელის ხალხთან და ზრუნავდა მასზე.

ბ. დაფარულმა ღმერთმა ბევრი რამ გააკეთა ისრაელისათვის საიდუმლოდ:
1. დაფარულმა ღმერთმა დაადგინა დიადი მეფე წარმართულ სამყაროში, და მისცა მას ძალაუფლება დიდ იმპერიაზე, რომელიც გადაჭიმული იყო ინდოეთიდან ეთიოპიამდე – 1:1-2.
2. დაფარულმა ღმერთმა აღძრა დიადი მეფე, რომ ჩამოეგდო თავისი დედოფალი რადგან, ის არ დაემორჩილა მის სიტყვას – მუხ. 3-22.
3. თავის საიდუმლო ზრუნვაში დაფარულმა ღმერთმა აღძრა ესთერი, ებრაელი ობოლი ქალწული, რათა დიად მეფეს გაეხადა ის თავის დედოფლად – 2:1-18.

გ. მთელი ტყვეობის წლების განმავლობაში ღმერთი დაფარული იყო, და ის კვლავინდებურად ფარავს თავის თავს, დღესაც კი ეკლესიის საუკუნეში, ღმერთი ფარავს თავის თავს – ესაია 45:15.

III. იგავს ლუკას 18:1-8-ში აქვს სიღრმისეული მნიშვნელობა, და ჩვენ უნდა ვიცოდეთ ღმერთი, როგორც ნაჩვენებია ის, როგორც დაფარული ღმერთი:

ა. ქვრივი მე-3 მუხლში აღნიშნავს მორწმუნეებს; გარკვეული მნიშვნელობით, ქრისტეში მორწმუნეები ახლანდელ საუკუნეში არიან ქვრივები, ვინაიდან მათი ქმარი, ქრისტე, ერთი შეხედვით არ არის მათთან – 2 კორ. 11:2.

ბ. როგორც ქვრივს, ამ იგავში (ლუკა 18:3), ჩვენც, ქრისტეში მორწმუნეებს, გვყავს მოწინააღმეგე – სატანა, ეშმაკი, და მასთან მიმართებით ჩვენ გვჭირდება, რომ ღმერთმა შური იძიოს:
1. ეს იგავი მიუთითებს ტანჯვაზე, რომელსაც ჩვენ ვექვემდებარებით ჩვენი მოწინააღმდეგის მხრიდან იმ დროს, როდესაც უფალი, ერთი შეხედვით, არ არის ჩვენთან.
2. იმ დროს, როდესაც, ერთი შეხედვით, უფალი არ არის ჩვენთან, ჩვენ ვართ ქვრივი, რომლის მოწინააღმდეგეც მუდმივად აწუხებს მას.

გ. როდესაც ჩვენი მოწინააღმდეგე გვდევნის ჩვენ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი ღმერთი უსამართლოა, ვინაიდან ის უშვებს იმას, რომ მისი შვილები დაექვემდებარონ უსამართლო დევნას – 1 პეტ. 2:20; 3:14, 17; 4:13-16, 19:
   1. საუკუნეების განმავლობაში უფალ იესოს ათასობით პატიოსანი და ერთგული მიმდევარი იტანდა უსამართლო დევნას; დღესაც კი ბევრი ექვემდებარება უსამართლო მოპყრობას – გამოცხ. 2:8-10.
   2. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჩვენი ღმერთი უსამართლოა, ვინაიდან ის არ ერევა, რომ გაასამართლოს და გაგვამართლოს; ვინაიდან ასეთი მდგომარეობაა, უფალმა იესომ გამოიყენა უსამართლო მოსამართლე, რათა წარმოედგინა ღმერთი, რომელიც თითქოს არაფერს არ აკეთებს თავისი დევნილი ხალხის დასაცავად – ლუკა 18:2-6.

დ. ქვრივი ამ იგავში მიდიოდა უსამართლო მოსამართლესთან და სთხოვდა, რომ შური ეძია მის მოწინააღმდეგეზე; ჩვენ დაჟინებით უნდა ვილოცოთ ამ შურისძიებაზე და არ უნდა გავიტეხოთ გული – მუხ. 1, 3:
   1. როდესაც ჩვენი ქმარი, ერთი შეხედვით, არ არის ჩვენთან და ჩვენ დატოვებული ვართ ამ დედამიწაზე როგორც ქვრივი, ჩვენი ღმერთი, დროებით უსამართლო მოსამართლედ გვეჩვენება – მუხ. 6.
   2. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ის უსამართლოა, ჩვენ მაინც უნდა მოვუხმოთ მას, დაჟინებით უნდა ვილოცოთ და უნდა შევაწუხოთ ის ისევ და ისევ, ვინაიდან ის სწრაფად აღასრულებს თავის შურისძიებას თავისი რჩეულებისათვის, რომლებიც „შეღაღადებენ მას დღედაღამ“ – მუხ. 7-8ა.

ე. გამოცხ. 8:5-ში ნაგულისხმევია პასუხი ლოცვებზე 6:9-11-სა და ლუკას 18:7-8-ზე.
   1. წმიდანთა ლოცვები გამოცხ. 8:3-4-ში, როგორც ჩანს, არის ლოცვები სასამართლოს აღსრულების შესახებ დედამიწაზე, რომელიც ეწინააღმდეგება ღმერთის სახლმშებლობას.
   2. ღმერთის სასამართლო დედამიწაზე, – ის, რომ დედამიწაზე ჩამოგდებულ იქნა ცეცხლი, – არის პასუხი წმიდანების ლოცვებზე ქრისტესთან, როგორც საკმეველთან ერთად – მუხ. 3-5.

ვ. „როდესაც კაცის ძე მოვა, პოვებს კი რწმენას დედამიწაზე?“ – ლუკა 18:8ბ:
   1. ბერძნულ ტექსტში იმ სიტყვის წინ, რომელიც ნათარგმნია როგორც „რწმენა“, გამოყენებულია არტიკლი, რომელიც გვიჩვენებს, რომ ეს სიტყვა აქ აღნიშნავს კონკრეტულ რწმენას – დაჟინებულ რწმენას ჩვენი დაჟინებული ლოცვისათვის, რომელიც არის ქვრივის რწმენის მსგავსი.
   2. რწმენა, რომლითაც ჩვენ ვართ გადარჩენილი, წარმოადგენს რწმენის საწყის ეტაპს; რწმენა, რომელმაც შეგვიყვანა ჩვენ ქრისტესთან სასიცოცხლო კავშირში, არის შემაერთებელი რწმენა, რწმენა, რომელიც შემოდის ჩვენში სამერთიან ღმერთთან ჩვენი გამუდმებული შეხების შედეგად, რათა ჩვენ ვიცხოვროთ ღმერთის ძით – რომ. 1:17; გალ. 2:20; იოანე 14:19.
   3. შემაერთებელი რწმენა არის ღვთაებრივი მოთხოვნა, რათა გამარჯვებულებმა მონაწილეობა მიიღონ ქრისტესთან შეხვედრაში მისი ტრიუმფალური დაბრუნებისას – ლუკა 18:8ბ:
      ა) შემაერთებელი რწმენა არის სამერთიანი ღმერთი, რომელიც მოძრაობს ჩვენში, და გვაერთებს ჩვენ თავის აურაცხელ სიმდიდრესთან – ეფეს. 3:8.
      ბ) შემაერთებელი რწმენა არის რწმენა მორწმუნეებისა, რომლებიც არ არიან დაიმედებული თავიანთ თავზე, არამედ დაიმედებული არიან ღმერთზე – 2 კორ. 1:9.

გ) როდესაც უფალი იესო დაბრუნდება, ის იპოვის გარკვეულ რაოდენობას გამარჯვეულებისა, რომლებიც ცხოვრობენ შემაერთებელი რწმენით, და საუნჯეებად მიიჩნევს მათ თავისი სამეფოსათვის თავისი მეფობის ათასწლეულში – ლუკა 18:8ბ; გამოცხ. 20:4, 6.